

## თეონა გრიგოლაშვილი

ქუთაისის უნივერსიტეტის დოქტორანტი

### ფანიალუბის ადგილები, როგორც ტურიზმის ბიზნესის მნიშვნელოვანი ელემენტი

#### ანოტაცია

ტურიზმის ბიზნესი დაკავშირებულია ადგილებთან, რომლებიც ტურისტთა მოსაზიდად მნიშვნელოვანი ელემენტია. ადგილები, სადაც ტურისტები მიდიან და დამით რჩებიან, დანიშნულების ადგილებს წარმოადგენენ. დანიშნულების ადგილების არსის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია განვიხილოთ სხვადასხვა ფაქტორები, რაც დანიშნულების ადგილების წარმატებას განაპირობებს. ესენია: დასვენება, განათლება, სოციალური ინტეგრაცია, ტურისტული ატრაქციები, ბუნება, ისტორია, დაბალი დანახარჯები და აშ. რესურსებისა და ატრაქციების ინტეგრაცია მოთხოვნის გარანტია კონკრეტულ დანიშნულების ადგილზე.

საქართველო ძალზე საინტერესო და მიმზიდველი დანიშნულების ადგილია ტურისტთათვის, რასაც ცხადყოფს საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობა ქვეყანაში. ჩვენ გვაქვს ბევრი რესურსი და ადგილი, რაც წარმატებულ დანიშნულების ადგილად შეიძლება გადაიქცეს. თუმცა მხოლოდ ტურისტული ატრაქციები და არც ისე კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურა საერთაშორისო მოთხოვნების დასაქმარებლად არ არის საკმარისი.

**საკვანძო სიტყვები:** დანიშნულების ადგილი, ტურიზმი, ატრაქცია, რესურსები, ტურისტი

დანიშნულების ადგილები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ტურიზმის ბიზნესში. ტურიზმის ინდუსტრია გარკვეულწილად არის დაკავშირებული ტერიტორიებთან, რაც ტურისტთა მოზიდვისთვის უმნიშვნელოვანესია [5]. კონკრეტული ადგილები, სადაც ტურისტები სტუმრობენ და გარკვეული დროით რჩებიან, დანიშნულების ადგილებს წარმოადგენენ. ტერმინი დანიშნულების ადგილი, როგორც საერთაშორისო ტურისტული დასახელება მე-20 საუკუნის ბოლოდან გვხვდება.

დანიშნულების ადგილები მოიცავს ისეთ პროდუქტებს, როგორიცაა: მომსახურება, ატრაქციები და ტურისტული რესურსები. დანიშნულების ადგილებს აქვთ მკვეთრად გამოხატული გეოგრაფიული და პირობითი საზღვრები, რომელიც ტურ-ოპერატორების მიერ არის დადგენილი.

დანიშნულების ადგილები სხვადასხვა ავტორთა მიერ განსხვავებულად განიმარტება. ლეიიპერი დანიშნულების ადგილს განმარტავს, როგორც კონკრეტულ ტერიტორიას, რომლითაც ტურისტები ინტერესდებიან და ატარებენ გარკვეულ დროს; ადგილი სადაც ტურისტისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის ურთიერთქმედების პროცესები ხდება. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია დანიშნულების ადგილს განმარტავს, როგორც ტერიტორიას სადაც ტურისტი მინიმუმ ერთ დამჯეს ატარებს. დანიშნულების ადგილებს გამნიათ ფიზიკური და ადმინისტრაციული საზღვრები, რომლებიც დანიშნულების ადგილების მენეჯმენტის სისტემას, იმიჯს და ამასთანავე განსაზღვრავენ მის საბაზრო კონკურენტუნარიანობას. რიჩი და კროუდი დანიშნულების ადგილს განმარტავს, როგორც კონკრეტულ ტერიტორიას ადმინის-

ტრაციული საზღვრებით: ქვეყანა, კონკრეტული რეგიონი, ქალაქი ან ეროვნული პარკი.

დანიშნულების ადგილების არსის უფრო დრმა შესწავლისათვის გამოიყენება სხვადასხვა მოდელები, რომლებიც გვეხმარება გავანალიზო ის ფაქტორები, რაც უძინებებს ტურისტებს მოგზაურობისაკენ. ერთ-ერთი ასეთი მაიმულებელი და მიმყვანი ფაქტორი. მაიმულებელი ფაქტორები ძირითადად სოციო-ფსიქოლოგიურ მოტივებს მოიცავს, რომლებიც ინდივიდებს მოგზაურობისაკენ უძინებებს. მაიმულებელი შიდა, ხოლო მიმყვანი - გარე ფაქტორებს წარმოადგენენ.

მრავალი მაიმულებელი ფაქტორია იდენტიფიცირებული: დასვენება, სტატუსი, პრესტიჟულობა და სოციალური ინტერაქტიულობა. მიმყვან ფაქტორებს, რომლებიც იზიდავს ტურისტებს წარმოადგენს: ხელმისაწვდომობა, ტურისტული ატრაქციები, ბუნება, ისტორია, დაბალი დანახახარჯები და სხვ. სხვადასხვა ავტორები ადასტურებენ, რომ მაიმულებელი და მიმყვანი ფაქტორები არ მოქმედებენ თანაბრად, რადგან მაიმულებელი ფაქტორები მთავარ ფაქტორად გვევლინება ადამიანის მიერ მოგზაურობის არჩევანში. მათ მიაჩნიათ, რომ ეს ფაქტორები მოქმედებენ ერთმანეთის პარალელურად. სხვა მოდელებთან ერთად, მაიმულებელი და მიმყვანი მოდელი წარმოადგენს იმ მოტივების საჭირო რაოდენობრივ საზომს, რომლებიც კონკრეტული დანიშნულების ადგილისათვის ადგილის იზიდავს ტურისტებს და უზრუნველყოფს დანიშნულების ადგილს იმ თავისებურებებით, რომლებიც უზრუნველყოფს მათ კონკურენტუნარიანობას.

#### მაიმულებელი ფაქტორები

სოციალურ-ფსიქოლოგიური

მოტივები

ტურისტული რეგიონი

#### მიმყვანი ფაქტორები

დანიშნულების ადგილების ატრიბუტები

მიჰყავს ადამიანები დანიშნულების

ადგილზამდე

აიმულებს ადამიანებს იმოგზაურონ

დანიშნულების ადგილებში



ტურისტული დანიშნულებების

რეგიონი

**ნახაზი 1.1** დანიშნულების ადგილები-მაიმულებელი და მიმყვანი ფაქტორები[2]


მნიშვნელოვანია ადინიშნოს, რომ ტურიზმის ბიზნესში პროდუქტი არის ის შეგრძნებები, რომელიც ადამიანს ტურისტული რესურსების კომბინაციის გამოყენებით ეუფლება. ტურიზმის სფეროს მკვლევართა ერთი ნაწილი ტურისტულ დანიშნულებას აღწერს, როგორც ტურისტული პროდუქტების ერთიანობას, რომლებიც ტურისტს სოავაზობენ შეგრძნებების ინტეგრირებულ კომპლექსს [1]. დანიშნულების ადგილი ეს არის ინტეგრირებული კომპლექსური პროდუქტი, რომელსაც საფუძვლად უდევს მოთხოვნები, მოლოდინები და ტურისტთა მიღება. რაც შეეხება ტურისტულ ინფრასტრუქტურას, იგი მხოლოდ უზრუნველყოფს ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

არსებობს ადგილები, სადაც ვერ განვითარდება ტურიზმი. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული აქტივობების არარსებობის გამო. ატრაქციებისა და რესურსების წარმატებული ინტეგრაცია გარანტია იმისა, რომ ტურისტები სახლში დადებითი ემოციებით დატვირთული დაბრუნდებიან. არსებობს ატრაქციების 4 სახეობა [3]:

1. შტრიხები ბუნებრივ გარემოში;
2. ადამიანთა მიერ აგებული შენობები და ხიდები. შექმნილი არა ვიზიტორთა ან ტურისტთა მოსაზიდად, არამედ დროთა განმავლობაში გარდაქმნილი ისტორიად (მაგ: ტაძრები);
3. ტურისტთა მოსაზიდად აგებული შენობები (თემატური პარკები)
4. სპეციალური დონისმიერებები.

საქართველო, როგორც კონკრეტული დანიშნულების ადგილი, ტურისტთათვის ძალზედ მიმზიდველია, რაზეც მეტყველებს ბოლო წლებში საქართველოში უცხოელ ტურისტთა ნაკადების ზრდა. (იხ. ნახ. 1.2.)

საქართველოს მოგრძელების ჩამოსულის სტატისტიკური წლების მიხედვით



ნახაზი 1.2. შემოსულ ტურისტთა სტატისტიკა [4]

2015 წელს საქართველოში ტურისტთა რაოდენობამ 5 432 102 შეადგინა, რაც 6,9%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. ვიზიტორთა ხუთეულის სათავეშია სომხეთი, საიდანაც ტურისტთა ნაკადები განსაკუთრებით მაღალია ზაფხულის პერიოდში. მომდევნო ადგილზეა თურქეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი და უკრაინა.

მიგაჩნიათ, რომ საქართველოში უხდადა ისეთი დანიშნულების ადგილები, რომელთაც ტურისტთა ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილება შეუძლიათ გარკვეული სამუშაოების ჩატარების შემდეგ. კერ კიდევ არსებობს კურორტი, ისტორიული ქალაქი ოუ სოფელი, სადაც სატრანსპორტო სისტემა ცუდადაა განვითარებული. მარტო ტურისტული ატრაქცია კი, სუსტად განვითარებული ინფრასტრუქტურითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით (სასტუმროებითა და კვების ობიექტებით) ვერ იქცევა წარმატებულ დანიშნულების ადგილად.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Buhalis, D. Marketing the Competitive Destination of the Future, 2000.
2. BrucePrideaux Resort Destination Evolution, management and Development 2009.
3. Frank Howie Managing the tourist destination 2005.

<http://stats.georgia.travel/Default.aspx>

<http://cyberleninka.ru/article/n/turistskaya-destinatsiya-kak-kompleksnyy-kontsept-i-klyuchevoy-element-turistskoy-sistemy>

[www.gnta.ge](http://www.gnta.ge)